ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5686860

ნომერი: AR1861884

თარიღი : 12.11.2021

გაცემის თარიღი : 16.11.2021

გაცნობის თარიღი : 17.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 147;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოლეგ სამხარაძე პ/ნ 54001011248
- მუხიანი მე-3 მკრ.

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2014 წლის 12 დეკემბრის#17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოსგანმცხადებელს10 დღისვადაში ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვროს საპროექტო ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია და დამატებით წარმოადგინოს:
ა) მოთხოვნის შინაარსი:დაზუსტდეს კონკრეტულად რაში მდგომარეობს განმცხადებლის მოთხოვნა;
ბ) არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები - ფოტოგადაღების თარიღის მითითებით;
გ) ფოტომონტაჟი: წარმოსადგენია ფოტომონტაჟი - მიწისზედა ნაწილ(ებ)ის ასახვით, ასევე ნაგებობის ტრასის სქემატური ნახაზი (გეგმა), სადაც თვალსაჩნოდ იქნება გამოყოფილი საპროექტო ობიექტი და მითითებული მილის შესაბამისი დიამეტრი;
დ) სამონტაჟო ტერიტორიის/არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ნაგებობის მესაკუთრეთა (მათ შორის ვის საკუთრებაში არსებულ სანიაღვრე არხზეც ხდება დაერთება) თანხმობა, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში – ასევე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობა;
2. გაცნობებთ, რომ ხარვეზის გამოსწორებისათვის გეძლევათ 10 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.